ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილ პროექტში ცვლილების დამატების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 24 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 26

დ. ხარაგაული
24 ნოემბერი 2021 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომა მიმდინარეობდა ნაწილობრივ სხდომათა დარბაზში დასწრებით და ონლაინ ჩართვით
სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე -საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (ონლაინ),

ოთარ ლურსმანაშვილი საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ,

გივი თხელიძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – მრეწველები "თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია **„ მოძრაობა ხარაგაულისათვის"** თავმჯდომარე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,
საკრებულოს აპარატი:
ლ. კალანდაძე - აპარატის უფროსი,
ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ,
ი. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილ პროექტში ცვლილების დამატების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის და მერიისათვის ავტომობილების შესაძენად საბიუჯეტო ცვლილების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე ,

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი,

მომხრე 10,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის და მერიისათვის ავტომობილების შესაძენად დამატებით განსახილველად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, მან ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ძირითადად ავტომობილების შესაძენი 150,0 ათასი ლარის ხარჯის გასაწევად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მიმდინარე 2021 წელს სანებართვო მოსაკრებლების გეგმის გადაჭარბებით შესრულებით მიღებული დამატებითი შემოსავალი 80,0 ათასი ლარის ოდენობით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) მიღებული შემოსულობები 30,0 ათასი ლარის ოდენობით და

სოფლის მხარდამჭერ პროგრამაში საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით გასაწევი პროექტების ეკონომია 40,0 ათასი ლარის ოდენობით. 75,0 ათასი ლარი მიმართული იქნას საკრებულოს და 75,0 ათასი ლარი მერიის ავტომობილის შესაძენად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საბიუჯეტო ცვლილებაზე დამატების შესახებ.
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს10 წევრი,

მომხრე 10,

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი დაემატოს საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებულ საბიუჯეტო ცვლილებას.

2. დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიებს, განხილვა და შესაბამისად დასკვნის წარმოდგენა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

წარმოდგენილი საკითხი დაემატოს საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს **რიგგარეშე სხდომის დღის** წესრიგით გათვალისწინებულ **საბიუჯეტო** ცვლილებას.

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**